საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/16 "7" თებერვალი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. თედეშვილის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ნატა თედეშვილი 2023 წლის 15 თებერვლიდან გამწესდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

ნატა თედეშვილის რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბრის №1/130 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2022 წლის 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 10 კანდიდატი.

2022 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ნატა თედეშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2023 წლის 9 იანვარს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ნატა თედეშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 30-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 21-წლიანი გამოცდილება. იგი 2001 წლიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. ნატა თედეშვილი სხვადასხვა დროს იყო ქარელის რაიონული და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მოსამართლე. ამჟამად არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ნატა თედეშვილს გაესაუბრნენ 23 იანვარს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2023 წლის 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა კანდიდატი ნატა თედეშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ნატა თედეშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა ათივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ნატა თედეშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 818 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 81,8%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2023 წლის 7 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 10-მა წევრმა მიიღო, ნატა თედეშვილმა მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 10 კანდიდატი, მათგან 3 ყოფილი მოსამართლე, 4 მოქმედი მოსამართლე და 3 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
2. თედეშვილი ნატა - 10 ხმა
3. კოპალიანი ქრისტინე - 0 ხმა
4. კოხრეიძე ლეილა - 0 ხმა
5. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
6. მელაძე ნინო - 0 ხმა
7. ოთარაშვილი ლია - 0 ხმა
8. რამიშვილი ზაზა - 0 ხმა
9. ტაბატაძე ტარიელ - 0 ხმა
10. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ნატა თედეშვილის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 9 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდა ნატა თედეშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი